

# შინაური საქმეები

№ 25.

კვირა, ოქტომბერი 4, 1909 წ.

ფასი წლიურად — — 4 მან.

„ნახევარი წლით — — 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> მან.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეიკათ.

ადრისი: მუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

ყოველკვირეული გაზეთი.

**შინაური:** ღმერთი თუ ნივთიერება? — სანმანიანისა; სწამთ თუ არა მეცნიერებს ღვთის არსებობა? — ნაცარყანელისა; აკადემიელ მოძღვრებს (ლექსი) რ. ს-ისა; რაქა-ლეჩხუმის სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კრება — სტუმრისა; ცოტა რამ იმერეთის სამოსწავლო საბჭოს ცხოვრებიდან — ვაკე-ვენახელისა; საფუძვლიანი ხმები დასავლეთ ევროპაში კომუნისტურ სკოლის და სკოლაში სარწმუნოების დასაცველად; ქალთა უმაღლესი კურსები თბილისში; კორრესპონდენცია — ნელისა; კვირიდამ კვირობამდე.

**ყოველკვირეულ გაზეთ**  
**„შინაურ საქმეებს“**

ხელის მოწერა შეიძლება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთაძო — გაზაყვის შესახვევში № 17) და საქანაქიო საბჭოში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ღ 50 კ.

— გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს. —

დარჩენ. № 1 ახალი ხელის მომწ. დაეთ. 1 მ. ღ 50 კ.

**სტამბა**

იმერეთის წმ. გიორგის ხარწ.-განმანათ.

**„მეობრის“**

ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე, ს. კირიშჩევის სახლში, გუბერნატ. კანტელარიაის ქვეშ, ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს.

— სკლ-მისაწდომ ავსკუში —

ასრულებს სუფთად ღ თავის ღროზე.

**ღმერთი თუ ნივთიერება.**

(წერილი მეორე<sup>1</sup>).

ამ ნაირად ნივთიერება არსად არ სჩანს; ყველაფერი მისგან წარმოსდგა და თითონ კი არსად იპოება, იგი ყველაფერშია და არაფერში არ არის. ასეთი არარაობა მატერიისა მისი არ ყოფნის მამხილებელია, მაგრამ მატერიალისტებს ვერაფრით დააჯერებთ მის არ ყოფნაში.

ჩვენც დაფუჯეროთ ერთ წუთას, რომ არის რაღაც სამარადისო მატერია; თუ ასეა, ამ მატერიას, რაღაც ფორმა უნდა ჰქონდეს, რაღაცას უნდა წარმოადგენდეს. რა ფორმით არსებობს მატერია მატერიალისტების წარმოდგენით? პირველ-ყოფილი სამარადისო მატერია მატერიალისტების აზრით არ წარმოადგენდა ერთ მთლიან რამეს, იგი მათის წარმოდგენით არსებობდა, როგორც პატარ-პატარა თვალთ დაუნახავი, განუყოფელი ნამცეცები, ანუ ატომები, რომლებიც განუყოფილი იყვნენ ერთი მეორისაგან მანძილით და მოძრაობდნენ უსაზღვრო სივრცეში.

გამოვერკვეთ ეხლა სამ საკითხში: შესაძლებელია თუ არა ატომი, როგორც მატერია? საიდან განჩნდა მოძრაობი ატომში? და რა არის მანძილი რომელიც ჰყოფდა ატომს ატომისაგან?

როგორც თვით მატერია, ისე ატომიც არავის უნახავს, მაგრამ როგორც მატერია-

<sup>1</sup>) იხ. „შინ. საქმეები“ № 24.





ლური რამ ეს უკანასკნელი არ შეიძლება განუყოფელი იყოს. რაც უნდა ნამცეცად წარმოვიდგინოთ ატომი, თუ იგი უკანასკნელათ სულად არ იქცევა, ან მთლად არ ქრება, მას ვერ მოვუშლით ერთ თვისებას, სახელდობრ დანაწილებას. რა თქმა უნდა, ასეთი დანაწილება აღამიანის ხელიდგან შეუძლებელია, მაგრამ საქმე ამაში არ არის, საქმე იმაშია, რომ ცნება **მატერია** ყოველთვის გულისხმობს ისეთ რამეს, რის დანაწილება, რის დაქუცმულება შესაძლებელია. მაშასადამე, თუ ატომი მატერიაა მისი მთლიანობა, ანუ დაუნაწილებლობა შეუძლებელია. აქედგან გამოდის რომ ატომი, როგორც დაუნაწილებელი რამ ნამცეცი მატერიისა არის ფიქცია, მას არ აქვს არავითარი რეალური არსებობა და თუ მატერიალისტები მაინც ებღაუჭებიან მას, ეს იმიტომ, რომ ეს მათი დოღმაა, მათი მათემათიკური აქსიომაა; რომელსაც მათი აზრით დემტაციება არ ექირვება, რომელსაც კრიტიკა ვერ შეეხება.

ამ ნაირად ატომი უნდა იყოს ან არაფერი ან რამე; თუ რამეა იგი, უთუოდ მისი დანაწილებაც შეიძლება და თუ არაფერია, მაშინ არაფრისგან, არაფერი არ გამოვა.

მაგრამ დავიჯეროთ ესეც, რომ ატომი რამეა, ნივთიერებაა, ნივთინრება, რომელიც არ დანაწილდება, ე. ი. მთლიანია. თქმა არ უნდა, რომ ატომებს უნდა ჰქონდესთ ისეთი თვისება, რითაც იგინი ერთმანეთს უერთდებიან, თორემ იგინი მუდამ ერთი და იგივე დარჩებოდენ და ვერაფრის წარმოშობას ვერ შეიძლებდენ. (ამასთან ნუ დავივიწყებთ, რომ ატომები ყველანი ერთი ზომისა უნდა იყვნენ). ეს კარგათ ესმოდათ მატერიალისტებს და ამიტომ ატომს მოძრაობა მიანიჭეს. ატომსო, ამიოზენ ისინი, თავის თავათ აქვს თვისება მოძრაობისაო. ასეთი სიმტკიცე აზრისა ეწინააღმდეგება მატერიის მეორე თვისებას, რომელსაც ინერცია ჰქვია და რომელიც არ შეიძლება არ მიიღონ მატერიალისტებმაც. ინერცია ისეთი თვისებაა მატერიისა, რომლითაც იგი ინახავს ერთ და იმავე მდგომარეობას: თუ იგი მოძრაობს უნდა სულ იმოძრაოს და იმოძ-

რაოს ერთ და იმავე ზომაზე, თუ მოსვენებულია სულ მუდამ მოსვენებაში უნდა დარჩეს. ამასთანავე ცნობილია, რომ მოძრაობა თვისებაა ისეთი არსებისა, რომელსაც აქვს სამოძრაო ორგანოები, ისეთი არსებისა, რომელიც ცოცხლობს. ატომს მატერიალისტების რწმენით არავითარი ორგანოები არ აქვს (თუ ქონდეს, მისი დაყოფაც შეიძლება) და არც ცოცხალი არსებაა, მაშასადამე მისი მოძრაობა გაუგებარია და შეუძლებელიც; ამიტომ იგი თავისთავად ვერ ამოძრავდებოდა. საჭირო იყო ამისთვის რაიმე გარეგანი ძალა. ამას მატერიალისტებიც უნებლიეთ აღიარებენ, როცა ამბობენ ატომები იქით მოძრაობენ საითკენაც ნაკლებ წინააღმდეგობას გრძნობენო; აქედგან სჩანს, რომ იგინი იქილგან მოძრაობენ, საიდგანაც მეტ წინააღმდეგობას გრძნობენ, ხოლო ეს წინააღმდეგობა სხვა არაფერია, გარდა გარეგანი, ატომს გარეშე მყოფ მამოძრავებელ ძალისა.

მაგრამ ამასაც დავანებოთ თავი და ვთქვათ მატერიალისტებთან ერთად, რომ ატომი თავის თავად მოძრაობს. რადგან ატომები ყველა ერთი და იგივეა, ყველა ერთი და იმავე ზომისაა, ამიტომ მათი მოძრაობაც ერთი და იგივე უნდა იყოს, ე. ი. ერთ და იმავე სისწრაფით უნდა მოძრაობდენ. თუ ეს ასეა ატომები, რომლებიც დაცილებულნი არიან ერთმანეთისგან მანძილით თავის დღეში ვერ დაუახლოვდებოდენ ერთი-მეორეს ისე, რომ მათ შეედგინათ ერთი ორგანიული მთელი, რომელშიდაც თითონ შესულიყვნენ, როგორც ორგანონი—როგორც ნაწილნი ამ მრთელი-სა. განვმარტოთ მაგალითით: ვსთქვათ ორი მხედარი, რამოდენიმე მანძილით ერთმანეთს დაცილებულნი, ცხენებს მიაქენებენ ერთ და იმავე სისწრაფით და ერთ და იმავე მიმართულებით. მათი ერთი მეორის დაჯახება, ამ პირობებში დამერწმუნებით, რომ ყ-დ შეუძლებელია მანამ, სანამ წანა მხედარი არ შეჩერდება, ან სისწრაფეს არ მოუკლებს. ასე უნდა იყოს ატომთა შორისაც. თუ იგინი რამოდენიმე მანძილით დაცილებულნი ერთ და იმავე მიმართულებით და სისწრაფით მოძრა-



ობენ, მათი შეერთება შეუძლებელია და მასთან დასადამე შეუძლებელია მათგან რაიმე ორგანიზაციის შექმნა. ამ ნაირად მოძრაობაც და ატომიც მხოლოდ ოცნებაა და მეტი არაფერი.

ეს მანძილიც აუხსნელია მატერიალისტური შეხედულებით. საიდგან გაჩნდა ატომთა შორის მანძილი? ან რა არის ეს მანძილი? რა უშლის ამ მანძილის გაღვას? თუ ეს მანძილი ცარიელობას წარმოადგენს, მაშინ ატომები თავიდანვე ერთ მთელ განუწყვეტელ სხეულად წარმოგვიდგებოდა და ამ შემთხვევაში ყოველი განვითარება შეუძლებელი იქნებოდა. ხოლო თუ ეს მანძილი წარმოადგენს თავისთავად სხეულს, რომელიც უშლის ატომებს შეერთებას, მაშინ გარდა ატომებისა სხვა სხეულიც ყოფილა, რაც ვერაფრად ეთანხმება მატერიალისტების მოძღვრებას ატომებზე, როგორც არსთა შემადგენელ ერთად ერთ პირველ-ყოფილ მატერიაზე.

სანმანინი.

**სწავთ თუ არა მცენიერებს ღვთის არსებობა?**

(რუსულიდან<sup>1</sup>).

„მცენიერება, თუ მას შეეხებთ მხოლოდ ტუჩებით, გვაშორებს ღვთისაგან; მაგრამ, თუ შეგნით იგი დიდრონი ყლაპებით, გვახლოვებს ღმერთთან.“

ბეკან ვერულამელი.

შესანიშნი ბუნებისმეტყველი უოლდეისი, მეგობარი დარვინისა, სწერს: „მატერია არ არსებობს, როგორც ძალისაგან განსხვავებული არსი, ძალა კი, თავის მხრივ, არის ნაყოფი სულისა“. [უკანასკნელს დროში უოლდეისი მხოლოდ სარწმუნოებრივ თემებზე სწერს თხუთღებებს და ეკუთნის ცნობილ სპირიტუალისტების რიცხვს.]

ვოლტერს, მიუხედავად იმისა, რომ მთელი თავისი სიტყვებით სარწმუნოებას ებრძოდა, მაინც სწამდა ღვთის არსებობა. სიკითხ-

ში შესახებ იმისა კმასაყოფელად საბუთიანია თუ არა მოქმედება ღვთისა, ვოლტერი ძალიან მალე აყენებს ლეიბნიცის შეხედულობას ღმერთზე და მსოფლიოს მიზნის შეწყობილობაზე, რომელიც (ლეიბნიცი) ამაზე დამატაციებითს პასუხს იძლეოდა. გარდა ამისა, ის ბევრს თავის თხუთღებაში იწონებს ლეიბნიცის აზრებს შესახებ ღვთისა და ქვეყნის მიზნის შეწყობილებისა. ვოლტერს არ უნდოდა მატერიალისტი ყოფილიყო და ენერგიულად დასცინოდა ათეიზმს. მისი აზრით, მხოლოდ კაცური საღი გონების დამკარგავს შეუძლიან იფიქროს, რომ მხოლოდ მატერიის მოძრაობა საკმარისია მოაზრე და მგრძობელ არსების წარმოსადგენად. მასთან დასადამე არა თუ საჭიროა შემოქმედი მოაზრე მატერიის შესაქმნელად, არამედ ამ შემოქმედს არც კი შეუძლიან გააჩინოს მაში აზროვნება მხოლოდ ნივთიერების უბრალო მოძრაობით. უნდა ყოს განსაკუთრებული ძალა, რომელსაც შემოქმედი იძლევის მატერიას. ვოლტერისთვის ღმერთი არის უდიდესი ხუროთმოძღვარი, რომელმაც შექმნა ქვეყანა ბრძნულ მიზნის შეწყობილ საფუძველზე.

ყოფრუა სენტ ილდერი, განმარტებს რალიტრეს თეორიას კანონიერი განვითარების შესახებ, ამტკიცებს რომ იგი არა თუ არ უარყოფს ღმერთს, პირიქით „არსებობს“ უდიდებულესი გამოხატვა შემოქმედის ძლიერებისა და მიძღვრებული მიზეზი დიდი განცვიფრებისა, მადლობისა და სიყვარულის მისდამი.

შლეიდენის სიტყვით, ხორცი, მიწისგან წარმოდგომილი ნვლნელა იწვის; ამას ჩვენ ვუწოდებთ განხრწნას. სული კი უკვდავი და უხრწნელი, უკუაგდებს ნივთიერ საკვრულებს და მიჭფრინავს სულიერი თავისუფლების წყაროსთან. საყურადღებოა აგვრეთვე მსჯელობა ჟირარდისა. ის საიქიოს ცხოვრებაში პასუხის მგებლობის იდეასაც კი სცნობს. „თუ კაცი ქვეყანაზე მხოლოდ ტალახის და ხორცის კერპებს სცემდა თავიანს, ამკირებდა თავის გონებას დანაშაულობით, აყრუებდა ვალდებულობის გრძნობას, იგი წავა საიქიოს პასუხის მგებლობით ფრად დამძიმებული, დამცი-

<sup>1</sup>) იხ. „შინ. საქმ.“ № 24.



რებული და საზიზლარი მოჩვენებით დევნილი სულით; მაგრამ თუ მან შეიგნო მალალი მოწოდება თავისი ცხოვრებისა, თუ სიკეთის გრძობა ასულდგმულება ყოველს მისს მოქმედებას, თუ კეთილშობილურმა საქმეებმა მას განუცხადეს მშვენიერება გონებისა, იგი წავა იმ სოფლად მოლიმარე ჩვენებათა თანხლებით და თან წაიღებს ქვეყნიდან სამწუხარო მოგონებას და აპაღლებულს იმედებს“.

დიდი ანატომიკ და ფიზიოლოგი რუდოლფ ვაგნერი თავისს თხუზულებაში: „დავა სულის შესახებ“ ამბობს: რომ უიქვო კაცი ჰპოებს მუღმივს დამტკიცებას სარწმუნოებისას თავის შინაგან დაკვირვება—გამოცდილებაში და გარეგანი ცხოვრების გარემოებებშიც.

საგულისხმეირონი არიან ვირხოვის სიტყვები, ბუნების მეტყველთა მიმართ: „ყოველსავე ცდას მეცნიერების საეჭვო გამოცანების გარდაქმნისას ნამდვილ დებულებად, ჰიპოტეზის დადებას სწავლის საფუძვლად განსაკუთრებით კი ცდას ეკლესიის გამორიცხვისას და მის დოგმების შეცვლისას სახეთა წარმოდგომის რელიგიით,—მარცხი მოუვა. ამ მარცხს კი თან მოჰყვება დიდი საფრთხე მეცნიერების საზოგადო მდგომარეობისათვის. განსაკუთრებით კი ვირხოვი ებრძოდა ბუნების მეტყველების მასწავლებლებს, რომლებმაც მხოლოდ ზერელედ იცოდნენ ჰიპოტეზები და ქეშმარიტებად სთვლიდნენ მათ. ერთს კრებაზე მან პირდაპირ სთქვა: „ჩვენ ვალდებულნი ვართ პირდაპირ ვუთხრათ ამგვარ მასწავლებელს: „ნუ ასწავლი ამას“!

მშვენიერებია სიტყვები თანამედროვე სახელგანთქმულ ისტრონომის კ. ფლამარიონის: „საიდან სჩანს, რომ საღი სარწმუნოება დღისა დამლუპველია კაცის გონებისა? საიდან სჩანს, რომ ცნობა ქეშმარიტებისა ტვინს სატკივარს გაუჩინდა? როცა თქვენ კაცობრიობას ართმევთ მის ძვირფასს საუნჯეს, როცა თქვენ მსოფლიოდან სდენით სიკოცხლეს, ბუნებიდან სდენით სულს და არა სცნობთ არაფერს გარდა ბრმა მატერიისა და იმდენადვე ბრმა მის ძალებისა, თქვენ ართმევთ კაცობრიობას რჯახის მამას, თქვენ ართმევთ ქვეყნიერობას

მის დასაწყისს და დასასრულს; გენიოსობა და მხნეობა, ეს ბრწყინვალეებანი უბრწყინვალესი ნათლისა ბნელდებიან ნათლის წყაროს დაბნელებასთან ერთად და ზნეობრივი ქვეყანა, ჰოგორც ფიზიკურიც, რჩებიან როგორც რაღაც უსაზღვრო ხოსი ღირსი ვიკტორის პირველყოფილი ღამისა. მეცნიერებამ დაგვანახვა, რომ ჰირადი და ზნეობით ნიჭი კაცისა არ ეკუთვნის ქიმიას, რომ სული არსებობს ნივთიერი ქვეყნიდან განარჩეულს ქვეყანაში, რომ სული უმაღლესია ფიზიკურ ქვეყნის ყველა შემთხვევით და გარდამავალ მოძრაობაზე. ჩვენი სული ნებას არ გვაძლევს, რომ კაცის ღირსება, თავისუფლება, სიმშვენიერის ქეშმარიტების და სიკეთის წმიდა დასაწყისი დამარხულ იქმნენ მატერიალისტური ჰიპოტეზის ხაოსში“. თავისი მეცნიერული თხუზულების („ღმერთი ბუნებაში“) ბოლოში ფლამარიონი ამბობს: „ჰოი უცნაურო, საიდუმლო არსებავ! ჰოი, დიდო და მიუწდომელო! რანი ვართ ჩვენ? უმაღლესო მიზეზო ყოველის მწყობრობისა და სიმშვენიერისაო! ვინ და რა ხარ შენ, თუ შენნი საქმენი ესოდენ დიდ არიან! და რა სახელი უნდა ეწოდოს იმათ, ვინც შენ უარგყოფს, ვისაც შენ არა სწამხარ, ვინც არა სცხოვრობს აზრით შენზე, ვისაც აროდეს არ უგრძენია შენი ყოფნა მთელი ბუნების მამაო! ჰოი, უმაღლესო მიზეზო ყოველის არსისაო, ჰოი, უდიდესო არსებავ, რომლის წოდებაც არ შეიძლება არც ერთი კაცობრივი სიტყვით და სახელით! მე სიყვარულით მუხლს ვიდრეც შენს წინაშე, ჰოი საღეთო დასაწყისო, მაგრამ მე ისე უმნიშვნელო ვარ, რომ ვერ ვბედავ ვიფიქრო, რომ შენ მისმენ მე... ო, შენ ისმენ ჩემსას, შემოქმედო! შენ, რომელიც აძლევ მშვენიერებას და კეთილსუნუნელებას მინდვრის ყვავილს, ჩემსახაც ისმენ. ოკეანეს ხმა ვერ დაჰფარავს ამ ჩემს ტიქტიკს და ჩემი აზრიც სწვდება შენამდე ამ საზოგადო ლოცვაში“.

ვიქტორ ჰიუგომ თავისი ანდერძი დაათავა სიტყვებით: „ღმერთი მწყამს“.

ჩვენგან დასახლებული აზრისა და განსაკუთრებით დაკვირვებითი მეცნიერების გე-



ნიოსთა გარდა, რომლებსაც ცილს სწამებენ თანამედროვე მატერიალიზმის მქადაგებელნი, ღრმად მორწმუნენი იყვნენ მეცნიერების სხვა წარმომადგენელნიც, რომლებთა სახელებიც ბრწყინებენ კაცთა ცოდნის ისტორიაში, მაგალითად: „ა. გუმბოლდტი, ბოილი, კლერკი, დალამბერი, ბიუფფონი, გალილეი. დალტონი, ბოსსუეტი კიუვიე, რომელმაც განაცხადა კიდევ, რომ საღვთო წერილის მოთხრობა წარდენის შესახებ გეოლოგიურს გამოკვლევებს, თანხმებაო ლათერის, პარაცელსი, ბრემი, გელმგოლცი, პასტერი, ბერკლეი, ცოლნერი, ბუტლერი, სტალი, რეიმარტსი, ბონენ, ტაილორი და. მთელი წყება სხვა მნათობთა.

ამ რიგად, გენიოსები და მეცნიერნი არ უარყოფენ ღმერთს. რა საცოდანნი და რა ცრუნა არიან მაღალი. ფრაზები თანამედროვე ღვთის უარის მყოფელთა, რომლებიც ზერელედ იცნობენ ნამდვილს მეცნიერებას შედარებით წყნარ სიტყვებთან დიდ მეცნიერთა, რომლებიც სიმდაბლით ქედს იხრიან უმაღლესი არსების წინაშე. მათი აზრები ღვთის შესახებ, როგორც ბრწყინვალე ვარსკვლავები საუკუნეთა წყვილიდში ყოველთვის ბრწყინვალედ გაანათებენ და აჩვენებენ კაცობრიობას, რომ ქრისტიანობის მეცნიერების გზას მიჰყვებათ არა ღვთის უარყოფისკენ, არამედ მის ცნობისკენ და სარწმუნოების გამტკიცებისა და ცნობისკენ. კვინტ კურცი მოგვითხრობს, როა ბაქტრიაში ხანდახან ისეთი დიდი ქარი ამოვარდებოდა ხოლმე. რომ დღე სრულიად ბნელდებოდა და გზა მტვერით იფარებოდა, მგზავრები მაშინ ცას უცქეროდნენ და ელოდნენ ვარსკვლავების ამოსვლას, რომლებიც მათ გაუნათებდნენ საშიშ გზას, ამის მსგავსს განვიცდით ესლო ჩვენ ყველანი. ტლანქი მატერიალიზმის ძალამ ააყენა მტვერი, ბევრთათვის დააბნელო ცა და შეაძრწუნა ხალხი. მისი გავლენით ბევრის შეგნებამ დაჰკარგა გზის მაჩვენებელი კომპასი, გადასცდა გზას და გაუბედავად ხედება ყველა შემთხვევითს მოელონს. საზოგადოება დაემსგავსა უდაბნოში გზა დაბნეულს კაცს, დამკნარს ფოთოლს, რომელსაც წარაშარა ათრევს ქარი. მაგრამ ჩვენ

მტკიცედ გვწამს, რომ მატერიალიზმით და მისი თანხმლებ სოციალიზმით და ანარქიით გატაცებამ მოიქამა დრო. მართალია მას კიდევ ამაყად უჭირავს თავი, მაგრამ ეს არ არის ძლიერების ნიშანი: აგონია დიდს ხანს ვერ გაგრძელდება, მატერიალიზმი და ანარქია გადაშენდებიან კაცის გონიერს აზრში. მატერიალიზმის ქარბუქისაგან აყენებული მტვერი დაწყნარდება და ქვეშაობების და სიმართლის ბრწყინვალე ვარსკვლავები გვიჩვენებენ გზას კაცობრიობისას. რაც უნდა სასიამოვნოდ იქედონ ცხოვრების ახალს გეგმაზე მომწყობელთა მაცთურმა სიტყვებმა, უღვთოდ და უსულოდ ისინი მაინც ვერ დაიმორჩილებენ კაცის გულს, რომელიც სევდით არის მოცული უმისოდ და მიიღტვის მისკენ, როგორც მიწდრის ყვავილი ღვთისაკენ, რომელიც (გული) ნეტარი აგვისტინეს სიტყვით, დაუმშვიდებელია იმ დრომდე, ვიდრე არ განისვენებს ღმერთში. ესევე აზრი ცხადად გამოსთქვა გიოტემაც: „კაცი ვერაოდეს ვერ წაუვა ღმერთს; მას შეუძლიან თავის თავს უწოდოს ათეისტი, მაგრამ მას არ შეუძლიან უარყოს დარდი ღმერთზე, რომელიც მოსვენებას არ აძლევს მისს სულს“. აქ ჩვენ არ შეგვიძლიან არ შევჩერდეთ შესანიშნავ ფაქტზე ცნობილი მეცნიერის თანამედროვე ათეიზმის დამაარსებლის ლეტრეს ცხოვრებიდან, რომელმაც მოისურვა ნათლისღება სასიკვდინე სარეცელზე.

ამ ფაქტით ცხადად მტკიცდება სრული უძლეულება მატერიალიზმისა, მისი მოძღვრებისა, რომელიც, ცხადია, არ შეეფერება სარწმუნოებრივ ზნეობრივ არსების ლტოლვილებას. რაც უნდა მაცდუნებელნი იყვნენ სიტყვები ბებელისა, ენგელისა, მარკსისა და მატერიალიზმის სხვა მეთაურებისა, რომლებიც მშვენივრად გვიბატავენ ქვეყნიურ სამოთხეს, ამ სიტყვებს მაინც არ შეუძლიანთ გარდაჰქმნან ბუნება კაცისა, მათ არ ძალუძსთ მისცენ ბედნიერება კაცობრიობას, რადგანაც ისინი ართმევენ ცხოვრებას უწმინდესს და უძვირფასესს — ღვთის სარწმუნოებას და სულის საუკუნოებას.

ხოლო ამ ძირითადს პრინციპების გარეშე



კი კაცობრიობის ცხოვრებაში, სამოთხის მაგვირად შეიძლება იყვეს მხოლოდ ორი მდგომარეობა: ან უკიდურესი სასოწარკვეთილება გონიერი არსებისა, რომელსაც შეუგნია უგუნურობა სიცოცხლისა, ან კიდევ ლოთობა სიცოცხლისა—აღვიწყაყოლობა ველურ ვნებათა, რადგანაც თუ არ არსებობს გონიერი მიზანი ცხოვრებისა, არც ცხოვრება იქნება გონიერი. კაცობრიობას ყოველთვის სწყურია მტკიცე ნიადაგი და მისი გული გრძნობს, რომ ამ ცხოვრების ზღვის ღელვაში და ქარტყილში მხოლოდ სარწმუნოება არის ერთადერთი ღუზა ცხოვნებისა, აი რისთვის მიიღო ცხოვრების ყოველთვის იგი ღვთისკენ, სწყურიან ღმერთი.

იქ კი, საცა ღმერთი დავიწყებულია, საცა უარყოფილია თვით არსებობა მისი, იქ ჩვენ ვხედავთ სასოწარკვეთილებას და მწარე ნაღვლიანობას მახე. იქ არ არის ანგელოზური გალობა მედღესასწაულე ხმათა, იქ სულის გადაჭვარება მძიმე საბურველი ცხოვრების სიმძიმისა, იქ სამარისებური სიცოცხლე მძიმედ აწვეს გულს, მოკლებულს სულიწმიდის ცხოვრებას.

ცხოვრებიდან ღვთის განღვინით და ქვეყანაზე უმისოდ სამოთხის დაპირებით ბბ. ბებელეები და კომპ. მწარედდასცინიან ქვეყნიურ ცხოვრებას. თვისი სამოთხე მათ გადუქცივით მკვდრების უმსგავს ცეკვად, რომელთა შემდეგაც არა რჩებაარა გარდა გაფანტული ატომებისა, უმნიშვნელო მტერისა, რომლებიც დაცურვენ ქვეყნის ხაოსის საზოგადო ქარბუქში. რას ეგვანება ის სამოთხე, რომელშიც დადის ხალხი თვისი არსების უმიზნობის აზრით გამსჭვალული, „როგორც დროებითი ფიზიკური პროცესი სხეულის ატომთა შემთხვევითი, დროებითი აგლომერატი“. დღეს შემთხვევითი ცხოვრება—ხედავ კიდევ სიკვდილი განუღვიძებელი. ქვეყნიურება, სიკვთე სიმშვენიერე ჰქრებიან. „რანაირს წყვილიაში ნაიფლობინ მაშინ დასაწყისნი ფილოსოფიისა, ესტეტისა და ზნეობისა.“ საუკუნო ქვეყნიურებათა განხილვა მხოლოდ სიზმარიდაა. სწავლული, მოაზრე. მხატვარი საბ-

ნელეში და ხაოსში რჩება. კაცობრიობა ამადლდა სხვა ქვეყნიურს არსებებზე მხოლოდ მუდმივ-ლტოლვით იდეალისადმი, ღვთისადმი“ (ფლამარიონი). „თანამედროვე მატერიალიზმი კი აზრიანად ამბობს პატრაცი ლარონი, ყოველად გამოუსადეგარია: ის ართმევს კაცის სიცოცხლეს ყოველსავე დიადს და საპატიოს“.

საუკეთესო პასუხს თანამედროვე „ყოველის უარყოფელებს მიცემთ ჩვენ კარლელიის სიტყვებით, რომელმაც სთქვა: „ამ კაცთა სიცოცხლე მიმართულია ქვეყნიურების და სარწმუნოების საგინებლად. მთელი მისი სიმშვენიერე დაუსრულებელი საიდუმლო სიდიდით მათ არადეს და ერთი წამითაც კი არ გაუგიათ. ისინი ნაწილ-ნაწილად შლიან მატერიას, ჰქექენ კაცთა მძორების შიგნულს და რადგანაც ვერ ჰპოვებენ ვერაფერს გარდა იმისა, რის აწონა და ხელით გაშინჯვაც შეიძლება, გადასწყვიტეს, რომ არ არის სული, არ არის განგება—არიან მხოლოდ მატერიის თანდაყოლილი ძალები. რა საცოდავი და წვრილმანია მათი თეორია ქვეყნისა, სურათი კაცისა და კაცის ცხოვრებისა! რაც შეეხებათ მარქსს, ბებელს, ენგელსს და სხვათა ძველ ებრაელთა შეხედულობის მოტრფილეთა, რომლებიც მოელოდნენ მესიას, როგორც ქვეყნიურს მეუფეს, ამა ქვეყნის ყოველი სიკეთით და ამიტომ ჯვარს აცვეს ქრისტე. მათზე განსაკუთრებით ზედ გამოქრილია ბეკონის სიტყვები: „არავინ არ უარყოფს ღვთის არსებობას გარდა იმისა, ვისთვისაც ხელსაყრელია, რომ ღმერთი არ იყოს“.

ნაცარყანელი.

**ქ აკადემიელ მოძღვრებას\*).**

აკადემიელ მოძღვრებას უნდა შევკადრო ქებაო, თუ რამ ვახერხე ამ ხელად, როგორც მათ ეკადრებაო.

სოფლელი მღვდლების ავ კარგი მათ სულ არ ეკარებაო,

\* მხოლოდ ორიოდ აკადემიელი მღვდ. არა გვეყავს სახეში.



სოფელს გაექცენ ყველანი  
და ქალაქს ეფარებო.

ღმერთმა უშველოთ, სიმლირე  
მათ აღარ ენატრებო...  
თვითონ ხომ თბილათ არიან?  
სხვები რათ ენადვლებო.

ღიბლომი ხელში უჭირავთ,  
მათი ცხოვრების შვებო,  
განათლებისა ნიშანი,  
ხომ არ-თამაშობო...

გამომზებო ახლა  
საქირო მათი ცოდნისო...  
გამრავლო: უღვთო, ურწმუნო,  
არრათ ჩამგდები ცოდვისო...

გამოდით, მზეთ უნახავნო,  
ნუ გძინავთ წამოწოლილსო!  
ხმა აღიმადლოთ ძლიერათ  
და გზა უჩვენეთ ცთომილსო...

უფსკრულისაკენ მიილტვის  
ქრისტეს მოყვარე ვერიო,  
და თქვენ ხელმორქმით შეპყურებთ  
თითქოს აქ არაფერიო?!

გამოდით, სთესეთ... გამოხმა  
ნათარცხი, ნახნავ ნაოში,  
რა ღღეს უნახავთ თუ კი რამ  
გიყრიათ „საკუქნაოში“?!

რ. საჯავახოელი.

### რამა-ლეჩხუმის სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კრება.

რამა-ლეჩხუმის სამრევლო სკოლების მეთაუ-  
რების მ. ლ. გვაგუთის ინიციატივით ამ კრე-  
ნისთვის 18 და 19 რიცხვებში სოფ. საირმუში  
(ლეჩხუმი) მოხდა მისდამო რწმუნებულ მასწავლებლის  
მასწავლებელთა კრება.

მისანი ამ კრებისა იყო, როგორც ეს გვა-  
ცნო მ. ლ. გვაგუთემ, რათა მასწავლებელთა მო-  
სამართლო და სხვა საკითხების განხილვისა და

სამართლო კრების მომზადებისა და სხვადასხვა  
გაგუთილების. თუ რამდენად სწორად და სწავლებ-  
ლოდ ასეთი კრებები მასწავლებელთათვის, ამას  
დაზარადა შეტად მიმხნია, ეს ეგვიპტის ცხადია;  
მხოლოდ ის კი გასაკვირვებელია, რატომ იმერეთის  
საქართველო საბჭო არ შეეცადა, რომ ამ რამდენიმე  
წლის განმავლობაში ერთხელ მაინც მოეწყო მასწავ-  
ლებელთათვის ქუთაისში შედგარი კურსები.  
ასეთ კურსებს უფრო დიდი მნიშვნელობა ექნებოდა,  
ვინემ მიუხედავად სოფელში მომხდარ კრებას და  
ისიც მასწავლებელთა მცირე ნაწილისათვის და არა  
მთელი ეპარქიის მასწავლებლებისათვის. მაგრამ ჩუ-  
ნის ფაქტით ეს კრება დაუფასებელ ზეგავლენას  
იქონიებს ჩვენზე. რადგან კრების განკარგულებაში  
ძლიერ ბატონა დრო (სამი დღე) იყო, ეგვიპტის მას-  
წავლებლებმა ვერ მოასწრო გაგუთილის მიტემა,  
ვინემ მოასწრო ამათაც ნახევარ საათიანი გაგუთილე-  
ბი მისცეს, ამიტომ გამოურკვეველი დარჩა მასწავ-  
ლებელთა სრული ფაქტობრივად; ამას ხელი შეუწყო  
იმ გარემოებამაც, რომ საირმის სკოლის (სადაც  
გაგუთილებს გაძლევიდა) მოწაფეები დაბალი დონე-  
ბის მასწავლებლებს წარმოადგენდა გაგუთილის მისცემად:  
შეშინა თუ რადაც სხვა მოსწავლის გამო ბავშვები  
ხმას არ იღებდენ, შეიძლება დიდი ხვეწნა მუდარის  
შემდეგ მიიღებოდა ზანტ და ერთ ზასუსს. ამ გარე-  
მებამ დიდი „შინისი“ დაუსვა გაგუთილის მიმ-  
ცემ ეგვიპტის მასწავლებელთა. მაგრამ ამ კრების მიზან-  
ია არ იყო მართლ შთაბეჭდილება მოეხდინა  
მასწავლებელს მუშაობისათვის, არამედ ეჩვენებოდა  
თითოეულ მასწავლებელს დანარჩენ ამხანაგებისათვის  
გადცემის მაგალითი და აგრეთვე თავისი შესუდე-  
ლება გამოეთქვა ყოველ გაგუთილის დონეს  
ნაკლებებაზე. ამ მხრით კი უფრო დიდი მნიშვნე-  
ლობა ექნება ამ კრებას: ყოველ გაგუთილის შემ-  
დეგ კრიტიკას უმუშავებდნენ დანარჩენი ამხანაგები  
გაგუთილის მიტემა, აჩვენებდენ მის დონეს  
ნაკლებებას; მეთაუდურად საქართველოს დროს  
სად შედგარი შენიშვნების და დარბევას იძლეო-  
და. გარდა ამისა მასწავლებელთა ერთი მუდარის  
განხილვისა დიდი მნიშვნელობა აქვს; ამდენ ხანს  
ერთი მუდარის არა თუ ამ მხრით არ ვაგნობდით,  
თუ ვინ რის მქონე და რის მტრად იყო, არამედ  
ისიც არ ვიცოდით თუ რამდენ სოფელშია სკოლა  
ან მასწავლებელი.



არ შემიძლია უუურადღებოთ დავტოვო ადგი-  
ლობრივ მასწავლებლის ბ. ს. კ—ძის სტუმართ  
მოყვარეობა, რომელთანაც ბედმა გვარკუნა სამი  
დღე და დამე გაგვეთავ. ამ ამხანაგმა ვერავითარი  
ქართველურა სტუმართ-მოყვარეობის უნარი ვერ  
გვიჩვენა. ისე იუურებოდა როგორც სომეხი-მივიტა-  
ნი, კუვლაფურში ზედმეტი ანგარიში მოუვიდა.  
თითო კაცი მოსამსახურეთ შეიღ-შეიღ აბაზათ გვი-  
შინა. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ თითოს  
ბეგნი რამ დაგვხარჯოდეს, მაგრამ საქმე იმასა,  
რომ კაცს დაკარგული და ზედმეტი ნაანგარიშევი  
ცოტა ეწინება. ჩვენში რამ მოხდახდეს ბ. ს.  
კ—ძე შეიღ აბაზათ რა ხელობის კაცი უნდა იმას ვუ-  
ქირავებ, ისეთ შიურებს კი როგორიც ამან გვაქირავა.  
50—60 კაზ.

სტუმარი.

**სოტა რამ იმერეთის სამოსწავლო  
საბჭოს ცხოვრებიდან.**

თუმცა ბევრი თქმულა და დაწერი-  
ლა აღნიშნულ საბჭოს „წითელ სარჩუ-  
ლოსან“ წევრზე, მაგრამ მეტი არ იქნე-  
ბაორიოდესიტყვით ვამცნოთ მკითხველს  
საბჭოს უკანასკნელი სხდომის შედეგი  
ბ. ოლქის მეთვალყურის ოდოევის თა-  
ნადანსწრებით, რომელმაც (შედეგმა) ერთ-  
ხელ კიდევ ზედმეტათ ნათელ-ჰყო ამ  
„საზოგადო მოღვაწის“ ზნეობრივი და  
იურიდიული ფიზიონომია. მკითხველს  
შეიძლება მოხსენებოდეს მალაქის სკო-  
ლის საქმე, რომელმაც დიდი განხეთქი-  
ლება გამოიწვია საბჭოს წევრებსა და  
ეპარქიის მეთვალყურის შორის. კონ-  
ფლიქტი იმდენათ გამწვავდა, რომ საკი-  
რო შეიქნა ბ. ოლქის მეთვალყურის  
საქმეში ჩარევა სიმართლის გამოსარკვე-  
ვათ. ბ-ნი „გენერალი“ რაც ძალი და  
ლონე ჰქონდა გაჰკიოდა საჯაროთ, რომ  
საბჭო ხელში ჩაიგდო რამოდენიმე უფიც-  
მა პირმა, საქმის გაკეთებას აღარ მანე-  
ბებენ და ილუპება სკოლებით, მაგრამ  
ბ-ნი ოლქის მეთვალყურის მობრძანებამ  
წაუხდინა ლილა და ბრძოლის ველზე

სამარცხვინოთ დაამარცხა იგი, კერძოთ  
მალაქის სკოლის საქმეში. ბ-ნმა ოდო-  
ემა თავის თვალთ ინახულა აღნიშნუ-  
შნული სკოლა, გაეცნო გარემოებას და  
დამნაშავის სკამზე ჩვენი „გენერალი“  
წამოსკუბა. ისეთი მდგომარეობის ატანა,  
რომელშიდაც ბ-ნი ჟორდანიას ჩააყენა  
ბ-ნმა ოლქის მეთვალყურემ, მხოლოდ  
ერთ მას შეუძლია, როგორც მრავალ  
მსგავსს გაკვეთილებ გამოვლილოს. ამ  
ფაქტს დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს  
იმ მხრით მაინც, რომ იგი იყო ოფიცია-  
ლური დამტკიცება ბ-ნი ეპარქიის მეთ-  
ვალყურის „საქმიანობისა“. ესრეთვე  
მარცხი მოეღის, როგორც შევიტყეთ,  
უკანასკნელის „პლანებს“ ამალღების  
სკოლის შესახებ და, იმედი უნდა ვიქო-  
ნიოთ, მომავალში ესრეთვე ბედი ეწევა  
მისსავე ჯიუტობას მიქარ-წმინდის სკო-  
ლის ორკლასიანათ გადაკეთების შესა-  
ხებ. მიუხედავთ იმისა, რომ ეს აღნი-  
შნული სკოლა რაქის დანარჩენ სკოლებ-  
ზე უფრო მოწყობილი და მრავალ-  
რიცხოვანია, მიუხედავთ იმისა, რომ  
წელიწადში ორჯელ მაინც ეს რამოდენ-  
იმე ხანი სკოლის გამგე და მასწავ-  
ლებლები ემუდარებიან საბჭოს და  
ეპარქიის მეთვალყურეს, ამ სკოლის ბედის  
კეთილათ გადაწყვეტას ვერავინ ელირსა,  
უმეტესად ბ-ნი ჟორდანიას წყალობით,  
რომელიც ყოველ საბჭოს შეკითხვაზე  
ლობე ყორეს ედება, ხან მიზეზათ ბავშვ-  
ბის მოუმზადებლობა მოჰყავს (თუმცა  
არც კი უნახავს ეს სკოლა, თუ ნახვათ არ  
ჩავადგებთ გზათ გავლას), ხან უფულობა  
და ხან შენობის უვარგისობა, და ყველა ეს  
მიზეზები კი მოჭორილია. წარმოიდგი-  
ნეთ, ბ. ჟორდანიას იმდენათ არა სურს ამ  
სკოლის წინსვლა, რომ საბჭოს დაუწყო  
რწმუნება, აღნიშნულ სკოლას მხო-  
ლოდ ორი ოთახი აქვსო, მაშინ როდენ-  
საც იგი შესდგება სამი ოთახისაგან,  
მაგრამ „გენერალი“ რასაც დაიჟინებს,  
იმას ხომ აღარ გადასთქვამს, თუ რაიმე



კეთილმა შემთხვევამ არ მოაწმენდია სირცხვილის ოფლი!

ვისურვებ რომ საბჭომ, დღეის შემდეგ მაინც, როდესაც ყველასათვის აშკარა შეიქნა ბ-ნი მეთვალყურის ფიზიონომია, კერძო კამათებს ნაკლები დრო მონადროს, გაორკეცებულის ენერგიით იმუშაოს რწმუნებულ ასპარეზზე და თვისი საქმიანობით უკუაქციოს მოწინააღმდეგის ჩლუნგი ისარი.

ვაკე-ვენახელი.

**საზოგადოებრივი დასავლეთი ევროპაში კონფესიური სკოლის და სკოლაში სარწმუნოების დასაცვლად.**

(რუსულიდან. \*)

**I.**

რას ამბობენ გამოჩენილი სახელმწიფო კაცები, პედაგოგები, სწავლულები, პოეტები, მწერლები და სხვანი სარწმუნოებისა და კონფესიური (სარწმუნოებრივი) სკოლის შესახებ.

ფრანკე, პროტესტანტი, სასკოლო მოღვაწე, თვის „ინსტიტუტში“.

სარწმუნოება უნდა იყოს ცენტრი მთელი სახალხო აღზრდისა. ქრისტიანული ხასიათი საერო სკოლისა არის მცველი ჩვენი კულტურული ცხოვრებისა... სახელმწიფოს და ეკლესიის ეერთნაირი არსებითი ინტერესი აქვთ სკოლაზე ზრუნვაში. მტკიცე ზნეობრივ სარწმუნოებრივ აღზრდის საქმეში სახელმწიფო ვერაფერს გახდება ეკლესიის დაუხმარებლად; თავისი მხრივ ეკლესიასაც მხოლოდ სანახევროდ შეუძლიან შეასრულოს თავისი ვალდებულება კაცობრიობის ცხოვრების შესახებ, თუ განდევნილი იქნება სკოლიდან, თუ გულნატკენი წავა მისგან.

პრუსიის მინისტრი კულტისა პუტკამერა,

პრუსიის დეპუტატთა პალატაში 14 ივლისს 1879 წ. მოწინააღმდეგე პარტიის წევრებს

\*) იხ. „შინ. საქმ.“ № 21.

შეუძლიანთ სთქვან, რაცა ნებავთ, მაგრამ რომ სკოლა უნდა იყოს კონფესიური, ამას მოითხოვს მთელი ისტორიული განვითარება! ამასვე მოწმობენ მასწავლებლების ინტერესებიც, რადგანაც სწორედ ამ საზოგადო სკოლებში აქვთ ორნაირი ვალდებულება.

კულტის მინისტრი შტუტე სიტყვაში 145 სხდომაზე პრუსიის დეპუტატთა პალატისა, 22 თებერვ. 1905 წ.

სახელმწიფო სკოლა, განცალკევებული ეკლესიის ყველა დამოუკიდებლულებასთან, იქნებოდა ნაადვილი ეროვნულ უბედურობად. ქრისტიანებისთვის აქ საჭირო არ არის მეტი სიტყვების დახარჯვა. თუ ეკლესია საზოგადოდ საჭიროა, მაშ ბავშებისათვისაც საჭირო ყოფილა; თუ მართალია, რასაც ის ამტკიცებს, — რომ ის ღვთისაგანაა და არა კაცისგან, მაშინ ის ისევე საჭირო ყოფილა ყველა ზნეობით დაწესებულებათათვის, როგორც საჭიროა ჰაერი ხორციელ სიცოცხლისთვის. თუ თანამედროვე სახელმწიფო მოისურვებს შეინახოს სკოლა უეკლესიოდ, მაშინ ის აიღებს თავის თავზე უფრო მეტს, ვიდრე რაც შეუძლიან. სახელმწიფოს შეუძლიან ბევრით დაეხმაროს სკოლას, მაგრამ არ შეუძლიან გაუწიოს მას დედამის მავიჯრობა. ვინც სხვანაირად ფიქრობს, ის ცრუ მორწმუნეა.

პროტესტანტი პედაგოგი მწერალი ფრანკ-რაიხ ვილჰელმ ღანდჰელდა.

ოჯახი და ეკლესია, ორივენი მოელიან სკოლისაგან, რომ იგი აღზრდის ბავშვში იმ სულს, რომელიც ხელს უწყობს ოჯახის შინაგან ცხოვრების წარმატებას და მასთან ერთად, აძლევს ბავშვებს მტკიცე საფუძველს ცხოვრებაში ხასიათის შემუშავებისას. ამ მოლოდინის აღსრულება შეუძლიან უთუოდ მხოლოდ კონფესიურს სკოლას.

დირექტორი პროტესტანტულ სამასწავლებლო სემინარიისა ლიენიციში პუტა, 25 მარტს 1905 წ.

არ არის სიყვარული უსარწმუნოებოდ; სიყვარული კი არის არსება ზნეობისა, მაშასადამე არ არის ზნეობა უსარწმუნოებოდ.



ოტტო გერმანელი პედაგოგი.

სკოლა, რომელიც არ აძლევს დიდ მნიშვნელობას სარწმუნოებას მსგავსია იმ ოჯახისა, რომელსაც მოუკვდა დედა.

გერმანელი პედაგოგი **დერანფელდა**.

საქიროა, რომ სარწმუნოება შეადგენდეს საფუძველს ყოველივე აღზრდისას.

**რობერტშადა**.

მთელი სწავლება და დისციპლინა სკოლაში გამსჭვალული უნდა იყოს ზნეობრივი სულით, ღვთის შიშით, რომელიც არის დასაბამი ყოვლისა სიბრძნისა.

**ტრანსფორმა**.

ყოველი სისტემა, რომელსაც სარწმუნოებრივი აღზრდა მიაჩნია გარეშე საქმედ, არის საშიში და საზარალო.

**კლადსტანი**.

სარწმუნოების სწავლება ძალიან დიდი და უნდა გარდაეცეს სიყმაწვილეს და ფასობდეს მოქალაქეთა შორის. ვინც ძირს უთხრის ამ საფუძვლებს, ის უნდა იქმნას დასჯილი სიკვდილით, როგორც დამარცხებული წესიერებისა და მტერი საზოგადოებისა.

**ჟ. ჟ. რუსსა**.

ის, ვინც არა სცნობს სარწმუნოებას და მტრულად უცქერის აღსარებას, არის მოწინააღმდეგე ყოველივე აღზრდისა. ეს წარმატება და პროგრესი კი არ იქნება, არამედ ნაბიჯი უკან. ის დიდი სარგებლობა, რომელიც ჩვენ მოგვითხრობს ქრისტიანობამ, მთლად დაიღუპება. შკოლამ მარტო გონება კი არ უნდა გახსნას, არამედ გულს და ხასიათიც უნდა გააკეთილშობილოს. ნამეტნავად დაწყებითა სკოლამ უნდა გააღვიძოს სარწმუნოებრივი ცხოვრება, დასთესოს სარწმუნოების თესლი ბავშვების გულში. როგორც დედამა ხელმძღვანელი ბავშვების შინაური აღზრდისა, ისევე სახელმწიფო და ეკლესია უნდა შეერთდნენ, რომ დაეხმარონ საზოგადოებრივ აღზრდის განვითარებას

**შლუნჩლი**.

ბევრი ძიების შემდეგ, ჩემი ასულის სასწავლებლად ვერ ვპოვე საეპარქიო კატეხიზ მოზე უკეთესი წიგნი, ნურც გავიკვირდებოთ!

მე ვსარგებლობ კატეხიზმით და ვრაც მას საიმედო პედაგოგიურ სახელმძღვანელოდ. ამაზე უფრო მტკიცე, რომელი საფუძველი შემიძლიან დაულო ჩემი ბავშვების აღზრდას? **დადრა**, ფრანციელი ფილოსოფოსი.

არის პატარა წიგნი, რომელიც უნდა ეძლეოდეს ბავშვებს და რომლის შესახებაც მათ ჰკითხვენ ხოლმე ეკლესიაში. წაიკითხეთ იგი—ეს არის კატეხიზმი. აქ თქვენ ჰპოვებთ პასუხს ყველა ჩემგან დაყენებულს საკითხებზე. თუ თქვენ ჰკითხეთ ქრისტიანეს—საიდან წარმოსდგა კაცთა ნათესავი, მან ეს იცის... წარმოდგომა კაცისა და ქვეყნისა, მისი სვედელი ამა და იმ ქვეყანაში, დამოკიდებულება კაცისა თავის მსგავსებთან და სხვა ქმნილებებთან ყოველივე ეს მან იცის. ჰასაკოვანს კაცს არა გვარი ექვი არ ექნება ბუნებრივი, პოლიტიკური და ეროვნული უფლების შესახებ, რადგანაც ყოველივე ეს გამომდინარეობს ქრისტიანობიდან, ცხადია და თითქმის თავის თავად გამოდის მისგან.

ფრანციელი ფილოსოფოსი თეოდ. სიმ. **ჟუფრუა** ფილოსოფიურს წერილებში.

პირველ და უმთავრეს ცოდნად უნდა იყოს ცოდნა სარწმუნოებისა, ერთად ერთი საფუძველი ზნეობისა; აქედან, სარწმუნოება უნდა ისწავლებოდეს პირველად და ისწავლებოდეს მუდამ დღე.

ფრანციელი ფილოსოფოსი **დადრა**.

პირველად ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეთ ზნეობითს ცნებებს, რადგანაც აუცილებელი საქიროა შემუშავება ბავშვის ხასიათისა. ზნეობის საფუძვლები, რაც შეიძლება, მტკიცედ უნდა დაედგინნ და ამიტომ სკოლაშიც პირველი ადგილი უნდა ეკავოს სარწმუნოებრივს სწავლებას, ანუ უფრო ცხადად, ქრისტიანულს აღზრდას.

**ფრანცავადა ფილოსოფოსი ვაქტორ ჰუ-სენა**.

თუ ღმერთი განაშორეს ქვეყანას, მაშინ ღმერთი შეიქმნება შემთხვევის შვილად, ხოლო შემთხვევა იქნება უაზრო სიტყვად, ბუნება გამოცანად, კაცის სული მოტყუებად, ზნეობითი დამოკიდებულებანი უაზრობად და



თვით ზნეობა სიცრუედ. ასეთია აუცილებელი ლოლიკური ცრუ რწმენა, საბედისწერო შედეგი, რომელსაც კაცი ვერ განიხილავს ისე, რომ გული არ აუკანკალებს, ბნელი უფსკრული, რომელშიც ჩახედვა არ შეიძლება შეუშინებლად და შეუძრწუნებლად.

ისპანიელი ფილოსოფოსი ააკაბ ვალქენა აწინდელს დროში ყმაწვილ კაცობა იმყოფება „თავისუფალი“ სკოლის გავლენის ქვეშ; თავის მკვლევლობა 10—12 წლის ბავშვებისა, — აღარას ვიტყვი სხვა დანაშაულობებზე, — საოცრად მატულობს. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც სტატისტიკამ აღწერს სამოცდა ხუთი ყმაწვილის თავის მკვლევლობა.

ფრანციელი მწერალი გერბელა.

უსარწმუნოებოთ სკოლა, სკოლა კი არა, ქირის ორმოა.

იტალიელი მწერალი ნიკოლა ტომმასკო.

საქიროებამ რომ მოითხოვოს, მე ხალისით ვეწამები ქრისტიანული სჯულისთვის. ისე უეჭველად არის, ჩემი შეხედულებით, დამტკიცებული მისი ღვთაებრივი წარმოდგომა, მისი სასიკეთო გავლენა კაცთა საზოგადოებაზე.

დიდი შოტლანდიელი რომანისტი ვალტერ სკოტა.

სამართალში უნდა მიცემულ იქმნენ ის მშობლები, რომლებიც შვილებს იმ სკოლებში აძლევენ, რომელთა კარებზედაც აწერია: აქ საღვთო სჯულს არ ასწავლიანო.

ფრანციელი მწერალი ვაქტორ ჰიუგო.

მე დავიცავ თქვენს სარწმუნოებას, სულ უღიდესს, რაც კი ეკუთნის კაცს.

ფრანკის ვალტერ III.

არა ვფიქრობ, რომ სჯულის მდებელს შეეძლოს მხარი აუქციოს მას, რაც არის ხალხისთვის წმიდა; პირიქით, თუ სჯულმდებლობას სურს ხელმძღვანელობა გაუწიოს ხალხს, მან უნდა მხარი მისცეს სარწმუნოებას და არა მოსპოს იგი სახელმწიფოური ზომებით, როგორც გამოუსადეგარი რამე. ნამეტნავად კი, ეს უნდა მოხდეს ჩვენს დროში, რომელმაც სისხლის ასოებით დასწერა თვის მატთანის ფურცლებზე, — იქ საცა მოხერხდა გაურწმუ-

ნობა ხალხისა სადანაშაულო ვნებათა და დამშვიდებულ მოქალაქეთა შორის სდგას მხოლოდ ამოდებული ხიშტი და ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ აღარ არის ფიქცია.

ბასმარკა პრუსიის პალატაში 1899 წ.

II.

მშობლებს და ეკლესიას უფლება აქვთ და ვაძლებულნიც არიან მოითხოვონ კანფესიური სკოლა შვალებასთვის.

ჩვენი დროის უდიდესს საკითხებს ეკუთვნის, რასაკვირველია, სასკოლო საკითხიც. ის ღრმად გამჯდარია ყოველ სახლში, ყოველ ოჯახში, რადგანაც ეს საქმე უფრო დიდია, ვიდრე მემკვიდრეობით მიღებული და დიდი შრომით შეძენილი საოჯახო საკუთრება; საქმე შეეხება სულ უძვირფასესს — თქვენს შვილებს; საქმე შეეხება იმას, აღიზრდებიან ისინი ქრისტიანულად, თუ გაირყვებიან თანამედროვე ურწმუნობით და დაიღუპებიან დროებითაც და საუკუნოდაც. ამიტომ, ყველა მშობელთა წმიდა მოვალეობაა, ყურადღება მიაქციონ სკოლების დაარსებას, რომლებსაც უნდა ანდოთ თქვენი შვილები. სკოლები დანიშნულებია თქვენი შვილებისთვის, თქვენ მათ ხელი უნდა შეუწყოთ მძიმე მსხვერპლებით — ამიტომ თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ იმ გვარი სკოლები, რომლებიც საუკეთესონი იქნებიან თქვენი შვილებისთვის.

მაინციის ეპისკოპოსი კატტლერა ეპისტოლეში 15 თებერვ 1873.

თქვენთვის, ქრისტიანე მშობლებო, არა არის რა სკოლაზე უღიდესი; და ამიტომ თქვენი ვალია, ცხადად გაიგოთ, რას ნიშნავს მოწოდება სკოლის განცალკევებისა ეკლესიისგან. იგი მას ნიშნავს, რომ თქვენი შვილების გულები უნდა მოკლებულ იქმნენ სარწმუნოების გავლენას, ქრისტიანობის მადლსა და მოძღვრებას და, ამის მაგივრად, უნდა მიეცნენ ვნებებს, სიცრუეს და გარყვნილობას. უღვთო სახელმწიფო სასწავლებელსაც უღვთოს თხოულობს: უღვთო ხალხი თხოულობს უღვთოვე განმნათლებელ დაწესებულებებს. ეს თავის თავად ცხადია. სარწმუნოება



არ ეწინააღმდეგება ქეშმარიტს განათლებას, არამედ არის დედა ყოველივე ქეშმარიტი განათლებისა, რადგანაც თვით ღმერთი არის პირველი წყარო ყოველივე ქეშმარიტი კაცობრივი განათლებისა. ქრისტიანი და ღვთის მოშიში ერის სარწმუნოების და სვინიდიის დაცინვა იქნება თუ უთხრან მას, რომ განათლება ან სკოლა უნდა განცალკევებული იყოს ეკლესიისგან და სარწმუნოებისგანაო..

იგივე, ეპისტოლეში 2 თებერ. 1865 წ.

თქვენ, საყვარელო მშობელნო, ვალდებულნი ხართ შეერთებული ძალით წინააღმდეგობა გაუწიოთ ჩვენში არა კონფესიური სკოლის შემოტანას. თქვენ გაქვთ ამაზე საღვთო უფლება, რადგანაც შვილები თქვენები არიან, თქვენ აძლევთ საშუალებას სკოლებს შესაწინააღმდეგო, რადგანაც სახელმწიფო აქამდე თქვენში სცნობდა ამ უფლებას. ამასვე თქვენ თქვენი სვინიდიც ვაგვალბებთ, რადგანაც ამაზე დამოკიდებული დროებითი და საუკუნო კეთილი თქვენი შვილებისა, რადგანაც ღმერთი მოგთხოვთ თქვენ პასუხს მათი აღზრდის შესახებ. განა თქვენ წინააღმდეგობას არ გაუწევდით თუ ვინმე ააოხრებდა თქვენს მინდვრებს, ან მოსწამლავდა იმ პურს, რომელსაც თქვენ შვილებს აქმევთ? მაგრამ ცდა განცალკევებისა თქვენი სკოლისა, საცა თქვენს შვილებს ყოველ-დღე ეძლევათ სულიერი საზრდო ყოველივე ქეშმარიტების და სათნოების საღვთო წყაროსგან, ქეშმარიტად არა ნაკლებად დამღუპველია. მშობლები, რომელნიც გულ გრილად უცქერიან ამას ან სვინიდის დაკარგულნი არიან, ან კიდევ განდგომილნი სარწმუნოებისგან. ეს წინააღმდეგობა ყველა მშობელთა ში უფრო საკიროა, რაც უფრო დაეინებით სცდილობს ურწმუნოთა პარტია ხელში ჩაიგდოს სკოლები, რომ გადააქციოს ისინი ქრისტიანობასთან საბრძოლველ იარაღად. რომ მათ არ შეუძლიანთ საეკლესიო სკოლების ღირსების შეგნება, ეს ურწმუნოების შედეგია; მათ სურთ თავისი ურწმუნობა გახადონ კანონად არა მარტო თავიანთთვის,

არამედ ყველა ქრისტიანთათვის; ამაში მდგომარეობს უდიდესი დარღვევა ეროვნულ უფლებათა. რადგანაც ისინი უარყოფენ ქრისტეს, ამიტომ ჩვენი ერის ყველა სკოლები ისე უნდა გადაკეთდნენ, თითქო ეს ხალხი ქრისტიანობას გასდგომოდეს. მათი გეგმები განათლებას და პროგრესს კი არ ეხმარებიან, როგორც ისინი ამბობენ, არამედ ეხმარებიან სარწმუნოების მოწინააღმდეგე ლტოლვილებამისწრაფებას. ჩვენი სკოლების არა ქრისტიანულებად გარდასაქცევად ისინი უბრუნდებიან ძველს წარმართულს პრინციპებს, რომ შვილები, პირველად ყოვლისა, ეკუთნიან არა მშობლებს, არამედ სახელმწიფოს და ამიტომ უფლება იმის განსაზღვრისა, თუ როგორი ხასიათი უნდა ჰქონდეს შვილების სწავლა-აღზრდას, ეკუთვნის სახელმწიფოს, ე. ი. იმ პარტიას, რომელიც სახელმწიფოს უდგას სათავეში. მაგრამ ყველა ამ დამღუპველ მისწრაფებას აქვს დასაწყისი საიდუმლო საზოგადოებაში, სახელდობრ მასსონობაში, რომელიც ყველგან, ხალხის შეუჩნევლად აერცვლებს თავის გავლენას და ჰყავს თავისი გეგმების მორჩილებით აღმასრულებელი მოხელეები.

იგივე, ეპისტოლეში 15 თებ. 1873 წ.

მშობლებო, არაოდეს არ დაივიწყოთ და თქვენი შვილები მიაბარეთ ისეთს მასწავლებელს, რომელიც იმავე დროს აღმზრდელიც იყოს; რადგანაც არ შეიძლება იპოვოთ იმისთანა მამა, რომელსაც არა სურდეს, რომ მისი შვილები იყვნენ ჯერ კეთილნი და სათნონი და შემდეგ კი განათლებულნი და სწავლულნი.

(შემდეგი იქნება).



# ქალთა უმაღლესი კურსები თბილისში.

მკითხველებს უკვე ეცოდინებათ, რომ ქ. თბილისში წელს გაიხსნა ქალთა უმაღლესი კურსები. თუ მივიღებთ მხედველობაში უმაღლესი სწავლის მიღების სურვილს, რომელიც ასე გაძლიერდა ამ უკანასკნელ დროს ჩვენ დედათა შორის; თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ უმაღლესი განათლებისათვის ჩვენი ქალები აქამდე იძულებული იყვნენ გადახვეწილიყვნენ შორს ჩრდილოეთში, ან საზღვარ-გარეთ, უცხო ქვეყნებში, რომლების ენის და ზნე ჩვეულების არ ცოდნა მათ ზედმეტ დაბრკოლებას უდებდა წინ, თუ მივიღებთ მხედველობაში ჩვენ სამარადისო მტერს სიღარიბეს, რომელიც გზას უხშავდა ამ შემთხვევაში ბევრ ჩვენ ნიჭიერ ქალებს, უნდა აღვიაროთ, რომ კურსების დაარსება ქ. თბილისში დიდი ბედნიერებაა საქართველოსათვის. ამას დღეს ყველა გრძნობს, ყველა ხედავს და ამიტომ ყველაც ასე სიხარულით ეგებება ამ ფრიად შესანიშნავ და უმაგალითო მოვლენას ჩვენ ბეჩავ ცხოვრებაში.

მხოლოდ ჩვენ ორი რამ გვაშინებს: ერთი ის, რომ კურსები კერძო ინიციატივამ შექმნა და მეორეც ის, რომ ამ კურსებით ჩვენებურათ ვისარგებლებთ. რაღაც საუბედუროთ, კერძო ინიციატივით დაწყებულს ჩვენში არაფერს გაუხარებია. ასეთი დიდი საქმე კი არა, როგორც არის უმაღლესი კურსების დაარსება, არამედ მცირე საქმეც კი, როგორც არის მაგალ. გამომცემელი საზოგადოება, წერა-კითხვის საზოგადოება, სხვა და სხვა სამეურნეო და სამრეწველო საზოგადოება, კეთილად არ დაბოლოებულა. ყველას დაარსების დღიდანვე გაუჩნდა მდილი, რომელმაც ზოგი მათ-

განი დასცა და ზოგსაც დაციმას უპირებს. ეს მდილი გახლავთ განსაკუთრებით ჩვენი, ქართველების, უგულობა, სოციალურ გრძნობათა ნაკლები განვითარება და შურიანობა. თუმცა ყოველივე ახალი მალე აგვადელოვებს ხოლმე, მაგრამ ისევე მალე გვიგრილდება გული და გუშინდელ დაწყებულ საქმეს დღეს უკვე ნელნელა განზე ვუდგებით და ვტოვებთ თავის ბედის წერის ამარა; ყურადღებას აღარ ვაქცევთ და ვკლავთ იმ საქმეს, რისთვისაც გუშინ თავს ვიკლავდით. ამას ხელს უწყობს ჩვენი ერთმანეთის მიუყობლობა და უპირულობა. დაიწყება თუ არა რაიმე საზოგადო საქმე ყველა სათითაოდ სცდილობს ჩაუდგეს მას სათავეში და არ ზომავს კი თვის ძალოვნეს, შესძლებს თუ არა მარტო საქმის წარმოებას; არ უნდა ანგარიში გაუწიოს იმას, თუ როგორ იმოქმედებს ეს გარემოება ამხანაგის თავმოყვარეობაზე, რომელიც მასთან ერთად ება ქაბანში, როცა წარმოებას საფუძველი ეყრებოდა. თვით-მპყრობელობის ქია არ უსვენებს და ღუბავს ისეთ დაწყებულებას, რომლის დაარსებასაც შეეწირა ასი ათასი ენერგია.

რაც შეეხება კურსებით ჩვენებურად სარგებლობას. ამას იმაზე მოგახსენებთ, რომ ჩვენში ყველაფერს უკუღმართი ელფერი ედება. სხვა ხალხები თუ სწავლა-განათლებას თავის ნაციონალურ კულტურისა, ხალხოსნობისა და სარწმუნოების დასაცავად და ასამაღლებლათ ხმარობენ, ჩვენ წინააღმდეგ, მას ყველა ამებების დასაქცევად დაგასანადგურებლათ ვიძინთ; თავის თავის ვერ მომვლენილობე-ყორეს ვედებით და ყოველივე „ჩვენის“ უარ ყოფაზე ვამყარებთ ქვეყნიერების ბედნიერებას. ეს გახლავთ ახალი სული, რომელიც ბერავს საქართველოში და თუ ამ სულმა ჩვენ ახალ კურსებში შეუბერა, გარწმუნებთ, მისგან



კარგი არავისთვის გამოვა: არც კერძოდ ქართველებისათვის და არც საზოგადოდ კაცობრიობისათვის.

### კარგისებინდენკია

გ უ რ ი ა - ს ა მ ე გ რ ე ლ ო .

10—18 აპრილამდე უფლად უსმდელოდესი ეზისკაზისი გურია-მეგრედიის დაბრძნდებოდა სარევიზოდ სამეგრელოში, დათვლიერა ოთხი საბლადონი ოლქი: სუფუნისა, სკლიასისა, ბანძისა და ნსიარისა. მიზანი მისი მეუფების რევიზიის იყო, შეეტყო რა მდგომარეობაში იყო ეკლესიები, სამღვდლოება და მრევლი. ეველგან, სდაც მისი მეუფება მიბრძნდებოდა, ეკლესიებში აუარებელი ხალხი ესწრებოდა. და აღტაცებით ისმენდა მისი მეუფების ქადაგებას. მისი მეუფება ეველგან სარწმუნოების მნიშვნელობას უხსნიდა ხალხს. აგრეთვე მის მეუფებას არ დაუტოვებია უურადლებოდ სამინისტრო და სამრევლო სკოლები; ეველგან იხსენიდა ივინი და აკვარდებოდა მათ მდგომარეობას სსოგადოდ. სუფუნის ოლქში მის მეუფებას მოეწონა ნესეაუის სამინისტროსკოლა (ორკლასიანი). იქ ასწავლის ადგილობრივი მღვდელი მ. მიმინაშეალი მსწავლელების თხოვნით და მისმა მეუფებამ იხება სარევიზიო რეუელში შემდეგი ხეწერა: 10 აპრქა 1909 года. Сего числа посетилъ школу и познания учениковъ по закону Божию привели меня въ полное восхищеніе. Дай Богъ по больше такихъ школъ сердечное спасибо всѣмъ учителямъ школы. 11 აპრილს სსკლიასის საბლადონი ოლქის რევიზიის დროს მისმა მეუფებამ იხსენიდა მარნის ორკლასიანი სამინისტრო სკოლა და სამრევლო ერთკლასიანი საქალებო სკოლა. უნდა მოგახსენოთ, რომ საქალებო სკოლაში ძლიან სუსტად უფილად დაუენებელი სწავლის საქმე. სადმერთო სკოლაში, რომლის ცოდნას უნდა აქვეყნებენ უურადლებას, თათქმის მამად ხეხნოც არ ცოდნით. სამინისტროს სკოლაში კი უფეთესად უფილად საქმე დაუენებელი,

თუმიც რუსული ენა ცოცხათ ვაჭლობს. მშენივრად წაიკითხა ერთმა მოწაფემ ქართულად ღექსი: „საბლადონის მეგობრობა“ მისმა მეუფებამ მასწავლებლების თხოვნით სარევიზიო რეუელში იხება ხეწერა: 11 апрѣля 1909 г. Призываю Божіе благословеніе на это славное училище. Дѣти всѣхъ отдѣленіи давали смѣльные и разумные отвѣты, что свидѣтельствуетъ о добрыхъ качествахъ г. г. учителей, которымъ выражаю сердечную мою благодарность. ბანძის საბლადონი ოლქში მის მეუფებას მოეწონა სოფლის ერთკლასიანი ვაყუბის სამრევლო სკოლა, სდაც კარგათ არის დაუენებელი სწავლა ბ. მასწავლებლის ბაკურაძის მეცადინეობით. ს. იხსენიდა ღევანაზ ანტონ კეკელას სამრევლოში აშენებელი ორკლასიანი სკოლა, ძლიან მოეწონა მის მეუფებას კარგად დაუენებელი სკოლაში გალობის საქმე მასწავლებლის არეთა სხოკიას მეცადინეობით, რომელსაც გაუთავებია თბილისში მუზიკადური სკოლა. დიდი მადლობის ღირსია ბ. სხოკიას ასეთი თავლადებისათვის გალობის საქმეში. გალობის საქმე სამეგრელოში ძლიან ცუდაა არის დაუენებელი. სასუდიერო მსწავლელებში, საიდანაც სოფლის მასწავლებლები და მღვდლები გამოდის. გალობის საქმე უფელმა დაუენებელი, რადგან მასწავლებელი თვით უვიცია თავის საქმისა.

დროა უურადება მიაქციოს ამას სამღვდლოებამ და ვისაც ეს ეკითხება. რა მნიშვნელობა ჰქონდა მისი მეუფების რევიზიას და ესლა ამ მოკლე ხანში რა მდგომარეობაშია ის ოთხი საბლადონი ოლქი, სდაც მისი მეუფება ბრძნდებოდა? სწორედ უნდა მოგახსენოთ, რომ ეველგან აუენებენ განხილებებს და აგროვებენ ფულებს ეკლესიებისთვის გასაუჭობებულად და აგრეთვე სხვაგან დიდი მოძრობას, რათა მისი მეუფების მიბრძნების წინ შეაკეთონ და გაუჭობებონ ეკლესიები, რაკორც რივია, რათა ეკლესია ჰგავდეს ღუთის ხალხს და არა სსიმინდეს. უსურვებთ მის მეუფებას ხანგრძლივ სიცოცხლეს და მხნე მოღვაწეობას ეკლესიის სსარგებლად.

ნელი.



## X კვირიდამ კვირობამდე.

22 სექტემბერს თფილისში გარდაიცვალა ვაქარი კარაპეტ კონიას ძე ვართანოვი, რომელმაც თითქმის 75.000 მანეთი შესწირა სხვა და სხვა საქველ-მოქმედო საქმეს. განსვენებული თფილისელი მოქალაქე იყო. აქვე დაბადებულს და აღზრდილს, 17 წლისა ყოფილა, რომ ვაქრობა დაუწყია. მას აქეთ ვაქრობისთვის თავი არ გაუნებებია. შარშან ვილაცეებმა მისი დატყვევება განიზრახეს ფულის დასატყუებლად. განსვენებული ცნობილი იყო ვაქრებში. დარჩა ორი ვაჟი. მთელი შეწირული თანხა ასეა განაწილებული: 20.000 მანეთი სომეხთა კათალიკოსის განკარგულებაში—ღარიბ ეკლესიებისა, სკოლებისა და მოწაფეთათვის; 20,000 მანეთი—თფილ. სომეხთა ეპარქიის უფროსის განკარგულებაში თფილისის ღარიბ მღვდლებისათვის, 12.000 მანეთი—ნორაშენის ეკლესიისათვის. ამ ფულით ეკლესიამ უნდა შეიძინოს უძრავი ქონება, რომლის შემოსავალი უნდა მოხმარდეს ნორაშენის სამღვდლოებასა და სკოლას. უნდა დაარსდეს სტიპენდიები განსვენებულის სახელობაზე: ვაჟთა 1-ლ გიმნაზიაში, სტიპენდია, შეწირულია ამისათვის 1500 მან., ქალთა 1-ლ გიმნაზიაში—1500 მან., რეალურ სასწავლებელში—1000 მანეთი, თფ. ქართულ თავაზნ. გიმნაზიაში—1000 მან., საკომერციო სასწავლებელში—500 მან., თფ. საქველმოქმედო საზოგადოებას—400 მან., სურფ-კარაპეტის სკოლას და ეკლესიას—500 მან., ობლების სასარგებლოდ—250 მ., მღვდლების ობლებისათვის 200 მ, გაიანის სკოლას—200 მ, უფასო სასაღილოს 200 მ, სპარსელების სკოლას—100 მ., სახელოსნო სკოლას—200 მ., ებრაელების სკოლას—100 მან., ჩუღურეთის სკოლას—100 მან., ემშიაძინის სკოლას—100 მან., სურფ მინასიის სკოლას—100 მან., სარაინის სკოლას—200 მან., ღარიბებისათვის დასარიგებლად ეპარქიის უფროსს—300 მან., ქალთა საქველ მოქმედო საზოგადოებას 100 მ., საზოგადოებას „მეგუს“

—100 მ., თავის ნოქრებს—1500 მან., წმ. სტეფანეს დედათა მონასტერს—100 მ., თფ. ნერსესიან სემინარიას—500 მ., და ჯიგრაშენის სკოლას—100 მან. („დროება“ № 214).

წინ ვუყენებთ ამ მაგალითს ზოგიერთ ჩვენ მდიდრებს, რომლებიც სიკვდილის დღესაც ვერ შელევნიან თავის სიმდიდრეს საზოგადო საქმისათვის და უტოვებენ მას ძმის წულებს თუ ბიძაშვილებს „საქეიფოთ-სალაღობოთ“. არას ვიტყვით ეკლესიაზე, რომელმაც კაი ხანია ადგილი დასცალა ქართველი კაცის გულში.

გაზ. „კავკასი“ გადმოგვცემს, რომ მოსკოვის მაზრის სამოსწავლო საბჭომ მიიღო პროექტი მაზრის წინამძღოლისა. ეს პროექტი მოვალეობად უდგენს პირველ დაწყებით სკოლებს სარწმუნოებრივ-ზნებრივ და რუსულ ნაციონალურ აღზრდას. რაც შეეხება სამეცნიერო საგნების სწავლებას, ეს უნდა ემსახურებოდეს სკოლის უმთავრეს მოვალეობის შესრულებას.

გაზ. „დროება“ გვატყობინებს, რომ ნამესტნიკის თანაშემწედ ბ. მიტკევიჩის მაგიერ დაუნიშნავთ სენატორი ვატაცი.

თეკლათის დედათა მონასტერში (ახალსენაკის მახლობლად) დაარსდა სახელოსნო სასწავლებელი. ღებულობენ ქალებს განურჩევლად წლოვანობისა. ასწავლიან ყოველნაირ ფეხსაცმლის სამამო თუ საქალო წაღების კერვას, ოქრომკერდით, ფერად წამლებით ქარგვა-ხატვას ბალიშებისა, მუთაქებისა და სხ.; საბნების ქარგვა-კერვას; საერო, სასულიერო და აგრეთვე საეკლესიო სამღვდლო სამოსლების კრა-კერვას. მასწავლებლობენ თვით მონოზნები, რომელმაც საუცხოოდ აქვთ შესწავლილი აღნუსხული ხელობები.

გაზ. „კოლოკოლის“ სიტყვით უწ. სინოდს შეუწყნარებია სინოდის კონტორის



სეკრეტრის ბ. მგალობლიშვილის თხოვნა და განუთავისუფლებია სამსახურიდან.

გაზ. „ტფ. ლისტოკის“ სიტყვით უწ. სინოდს გადაუწყვეტია, საქართველოში ექვსი საეპისკოპოსო კათედრა დაარსოს.

„Свѣжо преданіе, да вѣрится съ трудомъ!“.. ძნელი დასაჯერებელია!

ცნობილ დეკ. ვოსტორგოვს განუძრახავს ეკლესიათა და მონასტერთათვის სავალდებულო გამოცემის დაარსება მისივე, ვოსტორგოვის, რედაქტორობით. („НОВ. ВР.“).

ყოვლად სამღვდლო ბაქოს ეპისკოპოსის გრიგორის მოხსენების გამო უწ. სინოდს დაუდგენია: გარდაცვალებულის ექსარხოსის ნიკონის სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნეს ბანაშვიდები თბილისის საექსარხოსო ტაძარში ყოველ შაბათს, ხოლო მთელ საექსარხოსო ეკლესიებში ყოველ 28 მაისს. ეს დადგენილება კანტორის ცირკულიარით ეცნობება ეპარქიის მმართველებს.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მჭედლიძე.  
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

**რედაქცია**  
**უპირველესად სთხოვს**  
**ხელის მთავარებს**  
**წარმოადგინონ ამ წლის**  
**ხვედრი ფასი**

(იხ. „შინ. საქ.“ № 21).

Типография Кутаисскаго религіозно-просвѣдительнаго «братств.» Тифлисская, домъ Киришева.

# განცხადებანი.

## ვაგაზაძე

**სამღვდილო & საღიაკვნო**  
**საგნეუში,**

აგრეთვე სამასწავლებლო  
ეგზემენის ასაღებად.

დღრესი: ქუთაისი, ვაზაკოვის ქუჩა, № 17.

ქ. ქუთაისში ვაზაკოვის ქუჩაზე სახ. № 17,

ვაისხნა პირველი ქალთა ოთხძლასიანი

# პროგიმნაზია

სახელოსნო განყოფილებით,

სადაც სანროგიმნაზიო სწავლებს კარდა  
ანწავლიან ჭრაკერვას, ხალების, ფარ-  
დაგების, ჩუღჭების, ტილოების და მიტკ-  
ლების ქსოვას, ბამბაკების კერვას და სხ.

წლიური გადასახადი პროგიმნაზიაში 30 მან.,  
სახელოსნო განყოფილებაში 40 მ.

პროგიმნაზიოდ კლასებში მოსწავლე ქალები კურ-  
სის დამთავრებისთანავე ათავებენ სახელოსნო განყო-  
ფილებაში.

სასწავლებელმა უკვე დაიწყო მოწავეე-  
ბის მიღება როგორც პროგიმნაზიოდ  
კლასებში, ისე სახელოსნო განყოფილე-  
ბაშიდაც.